საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი # 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/30/20 03-02-2020

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „შ“ ქვეპუნქტების, 217-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი მესხორაძის 2020 წლის 3 თებერვლის №2- 1865/20 წარდგინების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დებულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2014 წლის 11 აგვისტოს №95/3 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე

დამტკიცებულია
2020 წლის 3 თებერვლის №1/30/20 ბრძანებით

(28.11.2025 N1/279/25 მდგომარეობით)

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის

დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი (შემდგომ – საბიუჯეტო ოფისი) არის საქართველოს პარლამენტის აპარატის (შემდგომ – პარლამენტის აპარატი) სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ამოცანა და ფუნქციაა საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის კომიტეტების, ფრაქციების, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკური ხასიათის სხვა ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა.

2. საბიუჯეტო ოფისი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, პარლამენტის აპარატის დებულებით, ამ დებულებითა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სხვა ბრძანებებით.

თავი II
საბიუჯეტო ოფისის ძირითადი ფუნქციები

მუხლი 2

1. საბიუჯეტო ოფისის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საქართველოს პარლამენტისათვის, პარლამენტის კომიტეტებისათვის, ფრაქციებისათვის, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატისათვის ფინანსურ, საბიუჯეტო, მაკროეკონომიკურ და საჯარო ფინანსების მართვის საკითხებზე ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება დასკვნების, ანგარიშების, მიმოხილვების, კვლევითი პუბლიკაციების სახით და სხვა ფორმებით;

ბ) ძირითადი ფისკალური, მაკროეკონომიკური და საჯარო ფინანსების მართვის ტენდენციების პერიოდული ანალიზი;

გ) საბიუჯეტო აგრეგატების საფუძვლად გამოყენებული ოფიციალური მაკროეკონომიკური პროგნოზების საფუძვლიანობის შეფასება; მოკლევადიანი/საშუალოვადიანი პერიოდისათვის დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური/ფისკალური პროგნოზების მომზადება;

დ) საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტების ფინანსური გავლენის შეფასების შესახებ დასკვნებისა და დამატებითი ინფორმაციის მომზადება;

ე) კანონპროექტის შემუშავების პროცესში საქართველოს პარლამენტის წევრების, საპარლამენტო ფრაქციებისა და პარლამენტის კომიტეტების შესაბამისი ფინანსური გათვლებით უზრუნველყოფა.

2. საბიუჯეტო ოფისი ანალიზისა და მიგნებების შედეგებს წარადგენს დასკვნის, ანგარიშის, მიმოხილვის, კვლევითი პუბლიკაციის სახით. საბიუჯეტო ოფისი შეზღუდული არ არის, ანალიზისა და მიგნებების შედეგები წარადგინოს მხოლოდ აღნიშნული ფორმებით.

3. საბიუჯეტო ოფისი არ გასცემს საბიუჯეტო, საგადასახადო, მონეტარული და საჯარო სახსრების ზედამხედველობის პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

4. საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დასკვნები, ანგარიშები, მიმოხილვები, კვლევითი პუბლიკაციები გამჭვირვალე და საჯაროა.

თავი III
საბიუჯეტო ოფისისა და საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა და პერსონალი

მუხლი 3

1. საბიუჯეტო ოფისს ხელმძღვანელობს საბიუჯეტო ოფისის უფროსი.

2. საბიუჯეტო ოფისის უფროსს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ერთი და იგივე პირი საბიუჯეტო ოფისის უფროსის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. საბიუჯეტო ოფისის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი შეირჩევა მხოლოდ მისი პროფესიული ან/და აკადემიური გამოცდილების გათვალისწინებით.

3. საბიუჯეტო ოფისის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს საბიუჯეტო ოფისის საქმიანობას, კონტროლს უწევს საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას; საბიუჯეტო ოფისისათვის დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე;

ბ) ხელს აწერს საბიუჯეტო ოფისის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

გ) სამსახურებრივ კორესპონდენციას უნაწილებს საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლებს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს; უზრუნველყოფს საბიუჯეტო ოფისის კორესპონდენციის დროულად განხილვას, კონტროლს უწევს საქმისწარმოების წარმართვას;

დ) ფუნქციებს უნაწილებს საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლებს;

ე) თანამდებობაზე დანიშვნიდან 3 თვის ვადაში ამზადებს და საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს შესათანხმებლად წარუდგენს საბიუჯეტო ოფისის მომდევნო 3 წლის განვითარების საშუალოვადიან სტრატეგიას;

ვ) როგორც წესი, ყოველი წლის თებერვლის ბოლოს საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს შესათანხმებლად წარუდგენს საჭიროებისამებრ ყოველწლიურად განახლებულ საბიუჯეტო ოფისის მომდევნო 3 წლის განვითარების საშუალოვადიან სტრატეგიას, საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის წლიურ გეგმას და საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

ზ) საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წელიწადში ორჯერ, საგაზაფხულო სესიისა და საშემოდგომო სესიის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, წარუდგენს წერილობით ინფორმაციას საბიუჯეტო ოფისის მიერ შესაბამის სასესიო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ;

თ) კონტროლს უწევს შრომის დისციპლინის დაცვას, საბიუჯეტო ოფისის თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის ღონისძიებების განხორციელებას;

ი) პარლამენტის აპარატის უფროსს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს წინადადებებს საბიუჯეტო ოფისის თანამშრომელთა წახალისების და მათ მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;

კ) უფლებამოსილია საბიუჯეტო ოფისის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის დროულ დამუშავებასა და მიწოდებას;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4 (28.11.2025 N1/279/25)

საბიუჯეტო ოფისის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე დროებით ასრულებს საბიუჯეტო ოფისის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამმართველოს უფროსი.

მუხლი 5 (28.11.2025 N1/279/25)

საბიუჯეტო ოფისის უფროსი და საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები – სამმართველოს უფროსები – არიან პარლამენტის აპარატის თანამდებობის პირები.

მუხლი 6

1. საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებენ საქართველოს კანონმდებლობით, პარლამენტის აპარატის დებულებით, ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებითა და შრომითი ხელშეკრულებით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს. (14.09.2023 N1/270/23)

2. საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლებს (გარდა საბიუჯეტო ოფისის უფროსისა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის აპარატის უფროსი.

თავი IV
საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 7 (28.11.2025 N1/279/25)

საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ბიუჯეტის ანალიზის სამმართველო;

ბ) მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის სამმართველო;

გ) ფინანსური შედეგების შეფასებისა და საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის სამმართველო.

თავი V
საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

მუხლი 8

საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 9 (28.11.2025 N1/279/25)

ბიუჯეტის ანალიზის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტისა და თანდართული დოკუმენტების მიმოხილვის მომზადება;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტისა და თანდართული დოკუმენტების მიმოხილვის მომზადება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის პროცესის პერიოდული (თვიური/კვარტალური (ნაზარდი ჯამით)/წლიური) მიმოხილვის მომზადება;

დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვის მომზადება;

ე) ფისკალური პოლიტიკისა და საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევების მომზადება;

ვ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის წარსადგენად სათანადო დასკვნების მომზადება.

მუხლი 10 (28.11.2025 N1/279/25)

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი, საბიუჯეტო აგრეგატების საფუძვლად გამოყენებული ოფიციალური მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზი/შეფასება;

ბ) მოკლევადიანი/საშუალოვადიანი პერიოდისათვის დამოუკიდებელი მაკროფისკალური პროგნოზების მომზადება;

გ) ქვეყნის მიმდინარე მაკროეკონომიკური მდგომარეობისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზი, მაკროეკონომიკური ინდიკატორების ურთიერთკავშირის შესწავლა;

დ) მაკროეკონომიკური გარემოს ძირითადი ტენდენციების პერიოდული (თვიური/კვარტალური/წლიური) ანალიზის მომზადება;

ე) მაკროეკონომიკურ გარემოსთან/საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევების მომზადება.

მუხლი 11 (28.11.2025 N1/279/25)

ფინანსური შედეგების შეფასებისა და საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტების ფინანსური გავლენის შეფასების შემოწმება და შესაბამისი დასკვნების მომზადება;

ბ) კანონპროექტის შემუშავების პროცესში საქართველოს პარლამენტის წევრების, საპარლამენტო ფრაქციებისა და პარლამენტის კომიტეტების შესაბამისი ფინანსური გათვლებით უზრუნველყოფა სათანადო მოთხოვნის წარდგენიდან 4 კვირის ვადაში (ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საბიუჯეტო ოფისისა და ფინანსური გათვლების მომთხოვნის შეთანხმების საფუძველზე);

გ) ცალკეული კანონპროექტებით გათვალისწინებული საკითხების ფინანსური და ეკონომიკური გავლენის შესახებ, აგრეთვე საკანონმდებლო პროცესის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევების მომზადება;

დ) საჭიროების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტის ფინანსურ დასაბუთებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მომზადება.

თავი VI
საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო

მუხლი 12

1. საბიუჯეტო ოფისის საქმიანობას კოორდინაციას უწევს საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო.

2. საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 217-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

3. საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო სხდომას მართავს არანაკლებ წელიწადში ორჯერ. საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელის ან სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 2 წევრის მოთხოვნით.

4. საბიუჯეტო ოფისის საქმიანობას ყოველწლიურად აფასებს საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო. საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, მოისმინოს ექსპერტთა შეფასებები საბიუჯეტო ოფისის ანგარიშებისა და საბიუჯეტო ოფისის მიერ განხორციელებული ანალიზის სპეციფიკურ საკითხებზე.

5. საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭო მისთვის წარდგენიდან 1 თვის ვადაში განიხილავს და ითანხმებს საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის წლიურ ანგარიშს, საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის წლიურ გეგმას და საჭიროებისამებრ ყოველწლიურად განახლებულ საბიუჯეტო ოფისის მომდევნო 3 წლის განვითარების საშუალოვადიან სტრატეგიას.

საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, გასცეს რეკომენდაციები საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის შესახებ.

თავი VII
საბიუჯეტო ოფისის დებულების დამტკიცება და საბიუჯეტო ოფისის რეორგანიზაცია

მუხლი 13

1. საბიუჯეტო ოფისის დებულებას საბიუჯეტო ოფისის უფროსის ან/და საბიუჯეტო ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

2. საბიუჯეტო ოფისის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.